№ 155. 9 აგვისტო, სამშაბათი. 1866–1883 9 აგვისტო, სამშაბათი. № 155.

# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

5 აგვისტოს.

პეტერბურღი. დღეს კრასნოე სელოში ხელმწიფე იმპერატორი დახედავს დაბანაკებულ ჯარებს; $56^1/_4$ ბატალიონს, $33^1/_4$ ესკადრონს და 156 ზარბაზანს.

გაზეთები გვატყობინებენ, რომ ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ნიკოლაევის რკინის გზის საქონლის ტარიფის შეცვლა, დაახლოვებს საქმეს აგვისტოში და ახალი ტარიფი სექტემბრის დასაწყისიდამ იმოქმედებს. ტარიფი ძალიან შემცირებულია და რიბინსკო-ბოლოგოვის რკინის გზის ტარიფთან შეფარდებული.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გროსმა ავგანისტანის საქმეების შესახება სთქვა, რომ პიშინის ხეობაში ინგლისის ჯარები არ არისო. განდახარისკენ კი ორი ინდოეთის ჯარების რაზმი წავიდა და იქიდამ უკან აღარ გამოიყვანენო. გროსმა სთქვა აგრეთვე, რომ მმართებლობა მნიშვნელობას არ აძლევს რუსის მაჰმადიან ვაჭრისგან ქობულაში ემირის ნახვას. ის აზრი, ვითომც ემირი დავალებული არ იყოს ინგლისის მიცემულის სუბსიდიებით, უსაფუძვლო არისო; ემირი ვალდებულია გარეშე პოლიტიკაში მისდიოს ინგლისის რჩევას და ჯერ მტკიცედ ასრულებს თავის დაპირებასაო. ფულით შემწეობის გარდა 1882 წლიდამ ემირმა მიიღო 2500 თოფი და მრავალი საომარი მასალებითო.

ზაგრები. გუშინ ღამ კიდევ არეულობა იყო. ჯარებს ხალხთან შეტაკება მოუხდათ.

კოპენჰაგენი. აქ მოვიდა უელსის პრინცესა.

კაირი. უკანასკნელს 24 საათშიი მოკვდა ხოლერით ხუთი კაცი. ხედივმა დაათვალიერა ხოლერის საავადმყოფოები.

მადრიდი. 4 აგვისტოს. გუშინ მეფემ დახედა ჯარებს, რომელნიც აღტაცებით მიესალმნენ მას. მეფე მალე დაივლის პროვინციებს და შემდეგ სამზღვარ-გარედ წავა.

მადრიდი, 5 აგვისტოს. დღეს მეფე მიდის ჩრდილოედის პროვინციების დასახედავად. სექტემბერში შეიკრიბებიან კორტესები, რომელთაც მმართებლობა აუხსნის კონსტიტუციის გარანტიების დროებით გაუქმების მიზეზებსა. კაბინეტი მალე გაახლდება, დამნაშავეთა დატუსაღება ჯერ კიდევ არ გათავებულა ბარცელონაში, სევილიაში და სხვა უმთავრესს ქალაქებში.

6 აგვისტოს.

პეტერბურღი. დროებით მართვა გვარდიის და გრენადერების სამღვდელოებისა მიენდო ჯარის და ფლოტის უფროსს მღვდელს პოკროვსკის, ხოლო სასახლის სამღვდელოება სასახლის სობორომ სეკელარიის ნიკოლსკისა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმარკა თან-და-თან უფრო ცხოველდება; მაუდით, აბრეშუმეულებით და ჩითებით ვაჭრობა ჯერ ჯეროვნად მარდად არ მიდის; კიახტის ჩაი, რომელიც 16,000 ყუთი მოიტანეს, თითქმის სულ გაიყიდა; ფასს დიდს იძლეოდენ—15-დამ 20°/₀-დამდინ მეტს შარშანდელზედ; ოდესის ჩაი კი ცუდად ისყიდება. შაქარი ისყიდება 8 მანეთად და 40 კაპ. ფუთი; ყიზლიარის ღვინო მოსკოვში ბევრი გაიტანეს, იარმარკაზე ცოტალა დარჩა, ფასი დიდი აქვს. იარმარკის სანიტარული მდგომარეობა კარგია.

ბაქო. 4 აგვისტოს მოხდა აქ კრება ნავთის მოვაჭრეთა და რკინის გზის წარმომადგენელთა ნავთის მრეწველობის საჭიროებათა განსახილველად.

პარიჟი. გაზეთი «Temps» ამბობს: ჩინეთის წარმომადგენლებმა ევროპიულ სახელმწიფოებში აცნობეს თავიანთ მმართებლობას, რომ ჩინეთის ჯარების ტონკინში გაგზავნა ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპაშიო.

ბრესლავლი. აქ მოვიდა რუმინიის მეფე.

ეკატერინოსლავი. წესიერი მსვლელობა ეკატერინოსლავის რკინის გზაზედ დაიწყობა ოკტომბერში, კერძო ექსპლოატაცია გზისა ენკენისთვიდამ მოხდება კრივოი როგიდამ ეკატერინოსლავამდე და სინელნიკოვიდამ დონეცკის გზის სტანციის იასინოვატამდე.

კაშაუ (ვენგრია). აქედამ ნეიზალში გაიგზავნა ორი როტა ეგერებისა დასამშვიდებლად ურიების-წინააღმდეგ არეულობისა.

სტამბოლი. მოსკოვში მყოფი თაბორის არხიეპისკოპოსი ნიკოდიმი ერთხმად ამორჩეულ იქმნა იერუსალიმის პატრიარხად.

ტრიესტი. გუშინ, იმპერატორის დღეობის წინა-დღეს, გასკდა პეტარდა. ხალხს ეგონა, რომ ეს იტალიელთ პარტიის დემონსტრაცია არისო, შევარდა იტალიელი გიმნასტიურ საზოგადოების სადგურში და იქაურობა მიელეწმოლეწა. ყარაულის ჯარმა ხალხი გაჰფანტა და მშვიდობიანობა ჩამოაგდო.

პეტერბურღი, 7 აგვისტოს. «Новое Время» ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროში სჯა არის იმაზედ, თუ რა პასუხის გებაში უნდა იყვნენ ფაბრიკებისა და ზავოდების პატრონები, როდესაც მუშები მათს საქმეზედ დასახიჩრდებიან, ან დაიხოცებიან. ამ საგანზედ სჯა მინდობილი აქვს განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც არიან წარმომადგენელნი შინაგან საქმეთა, ფინანსთა და გზათა სამინისტროებისა და მისის დიდებულების საკუთარ კანცელიარიის მეორე განყოფილებისა. კომისიამ კიდეც მოამზადა ახალის კანონის უმთავრესი საფუძველი და გადასწყვიტა აგრეთვე—დაადგინოს განსაკუთრებული წესები სხვა და სხვა უბედურების თავიდამ ასაცილებლად; რომ მუშებმა ან არა

«დროების» ფელეტონი, 9 აგვისტო.

### საკვირაო მასლაათი

კისრული*).

მე მსურს დღევანდელის მასლაათით ერთს ცრუ რწმუნებას შევურყიო საძირკველი, რომელიც ჩვენს მკითხველს საზოგადოებას ჭეშმარიტებად მიაჩნია. ამ ცრუ რწმუნების «ტახტის სვეტის შერყევა», ჩემის ფიქრით, განსვენებულ სერგეი მესხის უიმისოდაც დიდს ღვაწლს ერთს მისხალს სიმძიმეს მაინც კიდევ მოუმატებს და მისს სპეტაკ სახელს ერთს მკრთალ სხივს კიდევ მოჰფენს.

***

ხშირად გამიგონია თითქმის განათლებულ ქართველებისაგანაც, რომ, ვითომც ქართული მწერლობა ყველა სოფლის აზნაურს, თავადს, დიაკვანს და თითქმის მათაც, ვისაც ქართული წერა რომელიმე სოფლელ მაიასაგან უსწავლია ძროხის ბეჭზედ ნახშირით, ერთნაირად ჩინებულად შეეძლოთ. ამის საბუთად მოჰყავთ ხოლმე ქართულის ანბანის სისრულე და სიმარტივე.

— რა უჭირს სერგეი მესხს, ბევრჯერ გაგეგონებათ თქვენც, ჩემო ბატონო, საქართველოში ისეთი სოფელი არ იქნება, რომ ქართული წერა-კითხვა არავინ იცოდეს; სწერენ ყველა სოფლებიდამ კორესპონდენციებს და ეგეცა ჰბეჭდავს! მე შენ მოგახსენო, დიდი ჯაფა მოსდის?!.. რა საკვირველია, ამისთანა სიტყვებს წამოისვრის ან სრული უცოდინრობა, როდესაც კაცი გულ-ღიად და თამამად დაიწყებს სჯას იმისთანა საგანზედ, რომლისაც არც თავი გაეგება და არც ბოლო; ან სრული უსამართლობა, როდესაც კაცმა დაწვრილებით იცის საქმის გარემოება, მაგრამ იმის დასამცირებლად, ვისთანაც ერთხელ რაიმე უსიამოვნობა შემთხვევია, თავის სინიდისსა ჰღალატობს და ანკარა სიცრუესა ლაპარაკობს. უცილო ჭეშმარიტებაა, რომ ქართული ანბანი ყველა ხალხთა ანბანებზედ უსრულესი და მასთან უმარტივესიც არის, ესე იგი ქართულს ანბანში არამც თუ ყველა ხმას თავისი გამოსახატავი ნიშანი აქვს; ქართულად ისევე ვსწერთ, როგორაც ვლაპარაკობთ. თუ სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ დაგვეწყო, მაშინ ჩვენის ანბანის სისრულე და სიმარტივე დიდს შეღავათს მოგვცემს. ჩვენ შეგვეძლება ის რამდენიმე წელიწადი, რასაც, მაგალითად რუსი ანუ ფრანცუზი თავის სამშობლო ენაზედ მართლ-წერის შესწავლას ანდომებს, მეცნიერების რომელიმე ნაწილის შესწავლას მოვანდომოთ, მაგრამ მანამდის განათლებული ხალხი ჯერ ასე ცოტა არის ჩვენში, მარტო ქართულის ცოდნა და მისი სიადვილე ჩვენს მწერლობას ვერ გაამდიდრებს და გაზეთის რედაქტორს არამც თუ შრომას არ გაუადვილებს, ბევრსაც მოაცდენს ცუდ-უბრალოდ და ძვირფასს დროს დააკარგვინებს ყოვლად უმნიშვნელო გრძელის კორესპონდენციების კითხვაში. წერისათვის, ესე იგი ჟურნალში ან გაზეთში თანამშრომლობისათვის სხვა პირობებს გარდა, აუცილებლად საჭიროა ცოდნა, საზოგადო განათლებით იმდენად განვითარებული გონება, რომ შეეძლოს ყოველ-დღიურ და მეტად რთულ ცხოვრების მოვლენად დააკვირდეს, კარგი ცუდიდამ გაარჩიოს, უპოვოს მახლობელი მიზეზები მაინც და ერთმანეთში კავშირი. გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა მწერლისათვის გონების ლოგიკურ მსჯელობის მიჩვევა, რომ მის კალმის ნაწარმოებში თავი ბოლოს არ ამტყუნებდეს და შუა წელი ორივეს. თუმცა უნდა გაგიტყდეთ ამ უკანასკნელი პირობის ასრულება ყველასთვის მოსახერხებელი არ არის, ამიტომ რომ ზოგიერთი კაცის ტვინი თავლორი ცხენივით ისეთი კისერ მოუდრეკელი რამ არის, რომ მთელის ქვეყნის ცოდნაც რომ თავში ჩაუდო

*) რადგანაც კვირას გაზეთი არ გამოვიდა, ეს ფელეტონი სასამშაბათოდ გადიდვა.

მოიტეხონ-რა, ან სამუდამოდ ჯანის სიმთელე არ დაჰკარგონ ცუდის ჰიგიენურის პირობების გამო ფაბრიკებსა და ზავოდებზედ.

---

თბილისი, 8 აგვისტო.

ამ დღეებში დიდი ქება უძღვნა ქუთათურ მამა ტერ-დავით იარალიანცს ჩვენის ოფიციალურ გაზეთის კორესპონდენტმა. იმან აქო მისი მოღვაწეობა დიალ რომ სანაქებო სკოლის საქმის ასპარეზზედ, აქო იმისათვის რომ მამა ტერ-დავით იარალიანცმა მხოლოდ ას ოთხმოც კომლის სომხის შემწეობით (და ჩვენ დავუმატებთ ბევრის ქართველის შემწეობითაც) ააგო მშვენიერი სკოლის შენობა, სადაც წრეულს 126 ქალი თუ ვაჟი სწავლობდა, სხვათა შორის, 11 ებრაელი ქალიც. კორესპონდენტი, იხსენიებდა რა მამა ტ. ი—იანცის ღვაწლს, სწუხდა რომ მზრუნველობას თავს ანებებს ეს პატივცემული პირი, რომელიც დაარსებიდამვე სკოლისა ერთად-ერთ მზრუნველად და ერთად-ერთ გამგედ იყო.

ჩვენ მოგვივიდა ამ საგანზედ ორი წერილი და ერთს მათგანს დღეს ვაძლევთ ადგილს ჩვენს გაზეთში. ამ წერილიდამ მკითხველი დაინახავს, რომ «კავკაზის» კორესპონდენტს ან არა სცოდნია კარგად ხსენებულის სკოლის გარემოება, ან, თუ სცოდნია, მეტად შორს ყოფილა პედაგოგიურ საანბანო ჭეშმარიტებასთან, როდესაც იგი დიდს მწუხარებას აცხადებდა მამა ტერ-დავით იარალიანცისაგან სკოლის მზრუნველობისათვის თავის დანებებაზედ. ეს მოძღვარი მართლა ქების ღირსია იმ ენერგიისათვის, რომელიც მას ფულის მოგროვებაში და სკოლის შენობის აშენებაში აღმოუჩენია, მაგრამ განა კაცს რომ ერთი საქმე ეადვილებოდეს, აღარაფერი გაუჭირდება! იქნება მამა ტერ-დავით იარალიანცი კარგი მქადაგებელიც იყოს, კარგი არხიტექტორიც და იქნება თავის ხელმძღვანელობის ქვეშვე ააშენებინა მშვენიერი სკოლის შენობა... მაგრამ არხიტექტურა და პედაგოგია შორი-შორს არის; უსულო აგურს და ქვას საითაც გინდა დააწყობ, როგორის ფრესკებშიაც გინდა, იქ ახმარებ, ამითი საქმეს არა დაუშავდება-რა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მამა ი—იანცს ბავშვის გონებაც უსულო მასალა ჰგონებია და მოუნდომებია მისი კირსავით გადაზელა და სრულიად ახალის ფორმის მიცემა...

ეტყობა თეთრად ვალესილს სომხის სკოლის შენობას ისე აუჭრელებია თვალი «კავკაზის» კორესპონდენტისათვის, რომ ან შიგ სკოლაში შესვლა და სწავლის დროს დასწრება საჭიროდ აღარ დაუნახავს, ან თუ შესულა, სკოლისა და პედაგოგიისა იმდენი გაჰგებია მას, რამდენიც მე და შენ, მკითხველო, ჰოტენტოტურის ენისა.

არ ვიცით, თქვენი ოცნება როგორ მოქმედობს, მაგრამ ჩვენ კი თვალწინ წარმოდგენილი გვაქვს გულის მომწყლველი სურათი ას ოც-და-ექვსის ჩჩვილის ბავშვისა, რომელთაც სკოლაში შესვლამდე ერთი სიტყვაც არ იციან არც ერთის ენისა, გარდა ქართულისა, და იქ შესვლიდამვე ქართული სრულიად უნდა გონებიდამ ამოიმალონ და ერთბაშად მიჰყონ ხელი სომხურისა და რუსულის სწავლას; რუსულის სწავლას სომხურის შემწეობით და სომხურის სწავლას—ეს კი აღარ ვიცით რის შემწეობით! ორი სრულიად უცნობი ენა შვიდი-რვა წლის უსუსურ ბავშვებისათვის და არც ერთი გაგონილი ფრაზა, არც ერთი ნაცნობი სიტყვა,—ნება თქვენია,—მაგრამ ეს სწავლება კი არ არის, მართლა წვალებაა, როგორც ამბობს ჩვენი კორესპონდენტი.

რაც შეეხება იმას, რომ ებრაელი ქალებიც სომხის ქალებთან ერთად დაუსხავთ და სომხურს ასწავლიან, როგორც დედა-ენას და რუსულს სომხურის ენის შემწეობით,—ეს რაღაც ბაბილონის გოდოლის აშენებასა ჰგავს და მის აშენების დროს ენების არევას!

ჩვენც «კავკაზის» კორესპონდენტთან ერთად ქებას ვუძღვნით მამა ტერ-დავით იარალიანცს მისგან გამოჩენილ ენერგიისათვის, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ ვისურვოთ, რომ ქუთაისის სომხის სკოლას შემდეგში მაინც ასცილებოდეს პედაგოგიურ საქმეში იმისთანა მზრუნველობა და იმისთანა მზრუნველი როგორიც დღემდის ჰყოლია მას.

## ახალი ამბები.

≈ ხოლერის ასაცილებლად ჩვენი ქალაქი 16 ნაწილად დაჰყვეს და ყოველი ნაწილი კომისიას მიანდვეს. კომისიას შეადგენენ სანიტარული ექიმი, ერთი მზრუნველი ხმოსანთაგანი და პოლიციის აგენტი. ქალაქის რჩევას გადაუწყვეტია ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება სთხოვოს ქალაქის ექიმებს.

≈ თელავიდამ გვწერენ, რომ იქ სცენის მოყვარეთ 2 ს აგვისტოს თელავის მომრიგებელ სასამართლოს ზალაში წარმოუდგენიათ საქველმოქმედო განზრახვით მეორე და მეოთხე მოქმედება ბ. ანტ. ფურცელაძის დრამისა «აკაზაკები» და კიდევ რაღაც რუსული პიესა. ზალა სავსე ყოფილა მაყურებლებით და ბევრნი ფეხზედაცა მდგარან; სოფლიდამ ჩამოსულებიც ბევრნი ყოფილან და ძალიანაც უსიამოვნიათ ქართულის წარმოდგენით, მაგრამ რუსულისა რაკი არა ესმოდათ-რა, ხალხმა ჯერ მოიწყინა და მასუკან ბევრნი სრულებით ზალიდამ გავიდნენ; [illegible] დარჩა, დარჩა მხოლოდ [illegible] წარმოდგენის შემდეგ ტანცაობა იყო დანიშნული.

≈ ზაქათალის მაზრაში ყაჩაღობა და კაცების ხოცვა ძალიან გახშირებულა. ამას წინად მოუკლავთ ერთი სომეხი სოფ. ძარსანსა და ყარაბალდულს შუა და გაუძარცვავთ ალიბეგლოელი კაცი ყორაღანსა და ალიბეგლოს შუა; ამას გარდა ერთს ალიბეგლოელს კაცს დახვედრიან ყაჩაღები სოფლის თავში, იმის ურმიდამ ცალი კამეჩი გამოუშვიათ და თითონ პატრონი შეუბამთ იმის მაგივრად. ქალების მოტაცებაც შემოუღიათ ამ მხარეს. ამ დღეებში ერთს ალიბეგლოელს და ორს კაკელს სამი ქალი მოუტაცნიათ სათითაოდ ქალების უნებურად და რაკი გაუპატიურებიათ, ქალებსაც მათს ქრმობაზედ უარი ვეღარ უთქვამთ. რას ფიქრობენო, ნეტა, კაკისა და ალვაბათის პრისტავებიო, ამბობს კორესპონდენტი.

≈ ამავე მაზრის ს. კაკიდამა გვწერენ, რომ ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენში მასწავლებლად დაინიშნა ბ. ფილადოვი, რომელმაც თავის საქმეზედ კი გული აიცრუა და ფერშლობას მიჰყო ხელიო. კარგი კიდევ, რომ არჩენდეს ვისმე, მაგრამ ჩვენ გვეშინიან ვაი თუ იმის წამლობა ავადმყოფებს უფრო ავად უხდებოდესო.

≈ ბ. ბარნაბა ლოლაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის არ არის იმ კორესპონდენციის ავტორი, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ს. ზოვრეთში კუჭუხაძისაგან ლოლაძის მოკვლის თაობაზედ და რომელსაც თურმე მოკლულის ძმა ძალიან აუწიწმატებია. გულდამწვარ პირებს

---

და ქუდის მაგიერ მილის ლოგიკა დაჰხურო, მაინც სწორე ლოგიკურ მსჯელობას ვერას გზით ვერ შეაჩვევ. ვისაც ზევით მოყვანილი ერთი ერთი ზნეთაგანი მაინც არა სჭირს, ის არამც თუ მწერლობას ვერ გასწევს უბრალო, რაიმე შემთხვევაზედ კორესპონდენციის დაწერაც კი გაუჭირდება.

***

ღვთის წინაშე, ქართულის წერის სიადვილე უნდა იყოს ამისი მიზეზი, რომ არც ერთს ენაზედ, ვგონებთ, გაზეთს იმდენი კორესპონდენციები არ მოუვა, რამდენიც «დროებას» მოსდის, მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს კორესპონდენციები მომეტებულ ნაწილად ძვირფას დროს აკარგვინებენ გაზეთის რედაქტორს და სისხლს უფუჭებენ. აი ჩემს გვერდით აგროვია მთელი აქლემის საპალნე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ გამოგზავნილი გაზეთში დასაბეჭდად და დაწუნებული წერილები. რამდენი დრო დაჰკარგა რედაქტორმა მათ კითხვაზედ, რამდენჯერ იტაცა სიმწარით და სიბრაზით თმაში ხელი, როდესაც თვალი ჩააგდო რაღაც საძაგელს ჭორს და მეზობლებზედ უსინიდისო ცილის-წამებას. თუ «დროება» ეხლანდელის ჩვენის ცხოვრების მატიანეა და მომავალი ისტორიკოსი ამ პატარა გაზეთის ფურცლებიდამ შეისწავლის ჩვენის აწმყო ცხოვრების მიმდინარეობას და გონებრივს აღზდას, ცოტა მნიშვნელობა არ ექნებოდათ იმავე ისტორიკოსისათვის ამ დაწუნებულს წერილებს, რომ სადმე ცალკე საცავში ინახავდნენ. მათში სარკესავით გამოჩნდებოდა მომავალში ჩვენი ეხლანდელი წამხდარი ზნეობა და გონებითი დაძაბუნება.

***

ეხლანდელ დროში წინად შეუძლებელი და გონებით წარმოუდგენელიც ადვილი შესასრულებელი შეიქმნა, მაგრამ ყველაზედ უძნელესია ერთხელ ზნეობით დაძაბუნებულის და გონებით გაჯანდაგებულის ხალხის მობრუნება. შენი მტერი,—თუ ერთხელ ხალხი ისტორიის თანაბარ მსვლელობას მოსწყდა და «რემსავით» უმეცრების ხნარცვში ჩაეფლო. ჰერკულესია საჭირო, რომ ეს დაოჩნებული ხალხი ხელ-მეორედ მუხლში ჩააყენოს და, როგორც იტყვიან, წუთის სოფელში გაურიოს.

აგერ ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ჩვენში გაზეთი გამოდის და, რამდენადაც გარემოება ხელს უწყობს, ერთს პატიოსან მიმართულებას ადგას, მაგრამ აქამდე უმეტესს ნაწილს ქართველის საზოგადოებისას ვერ გაუგია ნამდვილი დანიშნულება გაზეთისა. შეიძლება ყოველ აქ ნათქვამს მართო ლიტონი სიტყვა დაარქვათ და ურწმუნო თომებისთვის ჭაშნიკად მირთმევია რამდენიმე ნიმუში გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილი კორესპონდენციებისა.

***

რედაქტორი დილით ადრე ამდგარა და თავის კაბინეტში ფაცა-ფუცით მუშაობს: ხვალის ნომრის მასალა დღეს დილით უნდა ჩააბაროს სტამბაში, რომ აწყობა მოასწრონ. მოწინავე წერილი და ფელეტონი რედაქციაშია მომზადებული; საჭიროა ეხლა კორესპონდენციები და სახალ-ამბებო მასალა. ბიჭიც შემოდის და მთელი ბლუჯა წერილები შემოაქვს. რედაქტორი ჩამოართმევს, ჰხევს კონვერტებს და შეჩვეულის თვალით ანაზდეულად ჩაიკითხავს თითო-თითოდ და მარჯვნივ უკმაყოფილოდ ისვრის, საითაც გამოუსადეგი წერილები აწყვია...

პირველი კორესპონდენცია. «გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ასე იწყობს დაუპატიჟებელი კორესპონდენტი თავის წერილს, ეს გაზეთი თქვენს დროებაშიდ გადაბეჭდოთ». მერე იწყობს ერთს უსინიდისო ლანძღვა-თათხვას ერთის ვაჭრისას, რომელიც ალბად იმას კონკურენციას უწევს. «ბროული ლაპარაკი რა საჭიროა, ეს ბატონი კაცი კი არა, სტუტენტს რომ იტყვიან, სწორედ იგია და მისი ცოლიც...» და სხვანი. ასე ათავებს შინ გაზდილი პასკვილიანტი თავის ვითომ-გაზეთის კორესპონდენციას.

მეორე კორესპონდენცია. «გთხოვთ, ბ. დროების დილეხტორო, ეს დროება თქვენ დროებაში დამიბეჭდოთ და თუ ამას დაჰბეჭდავთ, ამისთანა ამბებს ყოველ კვირა მოგწერთ...» თავში ატყობ, რაც შვილი იქნება და გადა-

ამით ვატყობინებთ, რომ ბარნაბა ლოლაძე მართლაც არ არის იმ კორესპონდენციის ავტორი და თუ ვინმე რამ იწყინა, რედაქციას უნდა მოსთხოვოს პასუხის-გება.

≈≈ გაზეთს «თერგში» სწერია, რომ 22-ს აგვისტოდამ 28 აგვისტომდე იქნება იქ ყრილობა თერგის მაზრის სახალხო მასწავლებლებისა. ჩვენ დიდად გვაკვირვებს, რომ ახალის სწავლა-განათლების უფროსის ხელში თბილისში და ქუთაისში აღარ მოახდინეს ეს სასარგებლო კრებები, რომელთაც ზოგიერთა ბნელის საგნების გამორკვევა ადვილად შეეძლოთ.

≈≈ მთავრობას განუზრახავს ადგილ-მამულის საქმის გამორკვევა კავკასიაში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებისა და კოლონისტებისა. ამ აზრით სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოუმართავს აქაურ მმართველისათვის მისის საქმეებისა და უთხოვნია, რომ ამ საქმისთვის საჭირო ცნობები ადგილობრივვე შეჰკრიბოს. სხვათა შორის მოუთხოვნიათ შემდეგი ცნობები: ა) რამდენი საზოგადოებაა, სოფელი, კომლი და სული თვითეულ გუბერნიასა და მაზრაში; ბ) რამდენი მიზომილი მიწა (НАДѢЛЪ) აქვთ გლეხებს სახლ-კარისათვის, სავენახე, სახნავი და საძოვარი; გ) როგორ მდგომარეობაში არიან გლეხებისა და კოლონისტების საზოგადოებანი; დ) როგორა ხმარობენ სახელმწიფო ტყეებს და სხვა აქაურ სახელმწიფო ქონებათა მმართველს მინდობილი აქვს წარადგინოს თავის აზრი, თუ როგორ უნდა მიეზომოს მიწა სხვა-და-სხვა ღირსებისა გლეხებს; რამდენი მახთა უნდა გადაიხადონ; რა წესით უნდა მფლობელობდენ. ეს ცნობები თურმე სრულად შეუკრებიათ; მალე სამინისტრო განიხილავს და გადასწყვეტს კიდეც და შემდეგ სახელმწიფო რჩევას წარუდგენს განსახილველად (Рус. Кур.)

## «დროების» კორესპონდენცია.

ქუთაისი, 3 აგვისტოს. გაზეთს «კავკაზში» *) წავიკითხეთ სომხის სკოლაზე ქუთაისიდამ გამოგზავნილი შენიშვნა, რომელშიაც ეს სკოლა აღწერილია, როგორც საუკეთესო. ერთი გარემოების დასახელება საკმაოა, რომ მკითხველმა ცხადად დაინახოს — რაოდნად უსაფუძვლოდ აქებს ამ სკოლას კორესპონდენტი. აი ეს გარემოება: სომხების სკოლის მოსწავლე ყმაწვილები ლაპარაკობენ მხოლოდ ქართულს ენაზე. როცა სკოლაში შედიან, ერთი სიტყვაც არ იციან სომხური, სკოლაში-კი სწავლა სომხურ ენაზეა, — ასე რომ მასწავლებელს მოსწავლისა არა ესმის-რა და მოსწავლეს მასწავლებლისა. დღემდე ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ყმაწვილების სწავლა არა იმ ენაზე, რომელზედაც ყმაწვილი ლაპარაკობს, არამედ სხვა ენაზე. რა უნდა შეუდგეს ამ გვარ სწავლის სისტემას, თუ არა მოწაფის გონებრივი დამახინჯება და ყმაწვილის სიძულვილი სწავლისადმი. ამას პედაგოგიაც გვიმტკიცებს და გამოცდილებაც გვეუბნება.

მართალია, სომხებმა კარგი შენობა აუგეს სკოლისათვის, მაგრამ მარტო გარეგნობა არ შეადგენს სკოლის ღირსებასა. ვინ არ იცის, რომ ხშირად ძვირფასს ტანისამოსში უმზგავსი არსებაა გახვეული.

შენიშვნაში, სხვათა შორის, ნათქვამია საყმაწვილო ბაღზედაც. ეს რომ წავიკითხეთ, პირ-ჯვარი გამოვისახეთ. ქუთაისში დავბერდით და ჯერ ამაზე არაფერი გაგვიგონია. ეს-კი ვიცით, რომ ერთის წლის წინად ქუთაისში რამოდენიმე პირთა ჰსურდათ საყმაწვილო ბაღის დაარსება. ამ საქმეს მრავალმა თანაუგრძნო და ყრილობაც იყო სააზნაურო ბანკის ზალაში, სადაც მე თვითონ დამსწრე ვარ. მაგრამ ამ სასარგებლო საქმეს აღმოუჩნდა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი და სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა.

არ ვიცით, იქნება კორესპონდენტს სკოლის ეზო რამოდენიმე ხეებით, სადაც ყმაწვილები თავისუფალს დროს თამაშობენ უფროსების თანა-დასწრებით, საყმაწვილო ბაღად მოელანდა. ამგვარი ბაღები ქუთაისში ხომ ყველა სკოლებსა აქვს. საყმაწვილო ბაღს ფრებელის სათამაშოებით, როგორც გაგვიგია, თბილისშიაც გაუჭირდა არსებობა და რაღა თქმა უნდა, რომ ქუთაისში მისი დაარსება ერთი-სამად უფრო ძნელია. როგორც წინად მოგახსენეთ, ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს და საქმის მოთავენი მცოდნე პირებიც იყვნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სომხების სკოლამ მიიზიდა ურიები და თერთმეტამდე ურიების შვილები სწავლობენო. მიიზიდა, თუ სხვა რამ არის აქ, — ამას გამოცნობა უნდა. ჩვენ კი გულით გვებრალება ეს თერთმეტი ბალღი. ნეტა სად და რაში უნდა გამოიყენონ სომხური ენა ამ საცოდავებმა!

*) № 173. ავც.

## რუსეთი

— ერთს ჩვენის გაზეთის წინა №-ში გავაცანით მკითხველს ცირკულიარი სახალხო განათლების მინისტრისა, რომლითაც სასწავლებლების მთავრობას, სხვათა შორის, უფლება ეძლევათ, თუ საჭიროდ დაინახავენ, მაღალის კლასის შეგირდი დაბალ კლასში გადაიყვანონ. ამ ზომაზე გაზ. «Современныя Извѣстія» აი რას იწერება: «ეს ზომა პრაქტიკაზედ არ გამოდგება, ამისათვის, რომ საცოდავი ყმაწვილი, რომლის შესახებაც ამ ზომის ხმარებას მოინდომებენ, უეჭველია, ან თავს დაანებებს სკოლას, ან არა და თავის თავს აუტეხს რასმეს. ორ ნაირად ბავშვის შერცხვენას ისა სჯობია, რომ სკოლიდამ სულ დაითხოვონ. იმას ისიც ეყოფა, რომ ეგზამენის კარგად დაჭერის იმედი გაუცუდდა და ახალი მწუხარება, მწუხარება თავის დამცირებისა რაღა საჭიროა.

თუ რანაირი მწარე და სიცოცხლის მომწამვლელია ეს ყმაწვილების დაბალ კლასებში დაბრუნების წესი, მოვიყვანოთ მაგალითი. ვსთქვათ ერთი ყრმა მეხუთე კლასშია და შუა კურსის დროს მთავრობამ შეატყო, რომ ამ ყრმის ცოდნა მეხუთე კლასს კი არა, მესამე კლასს შეჰფერის. თვითეულს კლასს თავის შესაფერი უფლებები აქვს მინიჭებული და საკუთრივ მეხუთე კლასსაც; მეხუთე კლასში გარდასვლით მცირდება ვადა სამხედრო გარდასახადისა (ВОИНСКАЯ ПОВИННОСТЬ). მეხუთე კლასიდამ მეოთხეში ან მესამეში დაბრუნებით სწავლას კი არაფერი ემატება და შეგირდს კი აკლდება ის მოქალაქებრივი უფლებანი, რომელნიც იმან უკვე მოიპოვა. ამის გარდა, განა კანონიერია ეს? ყმაწვილს შეუძლიან მეხუთე კლასში გადასასვლელ ეგზამენის დაჭერის შემდეგ, თუ სწავლის გაგრძელება აღარ სურს, მიიღოს დიპლომი, მაგრამ თუ გააგრძელა სწავლა მეხუთე კლასში, ან მეექვსეში, შეუძლიან ამ დიპლომის მიღების ნება დაჰკარგოს»!

შემდეგ ამბობს გაზეთი, რომ ეს ზომა ეგზამენის ღირსებასაც ამცირებსო. — «მეხუთე კლასის შეგირდის მეოთხეში დაბრუნება ეგვანება მაიორის კაპიტნად ჩამოყვანასა. ნიკოლოზ იმპერატორამდე არსებობდა ამგვარი დასჯა, მაგრამ ამ იმპერატორმა გააუქმა ეს სასჯელი, ამისთვის, რომ იგი ამცირებს ჩინებს და თვით ჩინების მიღების წესს. გგონებთ, რომ არც პედაგოგიური უნდა იყოს შეურაცყოფა ეგზამენებისა საზოგადოდ».

დასასრულ გაზ. «Современныя Извѣстія» აცხადებს ჰუმანურს სურვილს, რომ ჩვენს სკოლებში შეტანილ არ იქმნან ახალი წყაროები ბავშვების შეწუხებისა და დამცირებისა.

— საპყრობილოების კომიტეტის თავმჯდომარემ გალკინ-ვრასსკიმ, რომელიც ცდილობს საპყრობილოების წესების შეცვ-

ტყორცნას უპირებ, მაგრამ მაინც ცნობის-მოყვარეობა გძლევს და ჰკითხულობ. «წუხელის, ჩემო ბატონო, მოგითხრობს რომელიმე მივარდნილი მდოლეთის ნესტორი, ჩვენს კლუბში ისხდენ და კარტსა თამაშობდენ ერთი კარტოჟნიკი, ერთი დუხანჩიკი, მეპოვოზკე და მ—ჩიკი. მოუვიდათ მერე ჩხუბი და შენს მტერს, რომ იმათ ქალი და კაცი დააწიოკეს...» და სხვ.

მესამე კორესპონდენცია. გაჰხსნი და ასო-მთავრულით ჩაწიკწიკებულია შემდეგი სათაური: «ჭაკი ცხენი და დიაკვანი». სათაურზედვე შეატყო რედაქტორმა, რა სიმყრალით იქნება სავსე ეს წერილი და გაჯავრებულმა სტოლქვეშ კალათაში ჩაუძახა.

მეოთხე კორესპონდენცია. «აი მეხი და მედგარი კი ჩამოვაყარე ეხლანდელ ფოლორც ქალებს! — ესე მჭახედ, ძველის წინასწარმეტყველ იერემიასავით იწყობს თავის გოდებას ვილაც ზნეობის დამცველი სუტ-კნეინა. — რაც ჩემ მაზლს რუსეთიდამ შვილი მოუვიდა, ეს გაგლეჯილები აბუზბუზდენ და ლამის ის საწყალი ყმაწვილი გაგლიჯონ. მაგრამ ისიც კარგა ჰხედავს მათ უნამუსობას და, რო დაიხოცნენ, არც ერთს არ შეირთავს»...

მეხუთე კორესპონდენცია. ხუთ თაბახზედ გახლავთ გაჭრელებული! კაი თვალი და მოთმენა უნდა, რომ ამოდენა დაწერილი ბოლომდე წაიკითხოთ. რედაქტორი წაღმა-უკუღმა ატრიალებს და ვერ შეუბედნია: ვაი თუ თავით ბოლომდე სისულელე იყოს და ტყუილად დრო დაჰკარგოს! — ეს უთუოდ მოცლილ სემინარიელის დაბადების რომელსამე მუხლზედ უნდა იყოს ღრმა ფილოსოფიური მსჯელობა, რომელიდამაც ჩვენ, უბრალო მომაკვდავნი, ვერაფერს გავიგებთ, ფიქრობს რედაქტორი და არხივში გადადებას უპირობს, მაგრამ მაინც გულმა წასძლია და კითხვა დაუწყო. ეტყობა დასაწყისშივე არ ესიამოვნა, გადაფურცლა და ახლა შუაში ჩაუტარა თვალი, მერე ბოლოში და უკმაყოფილოდ გადააგდო. არ მოსტყუვდა, წერილი მართლა სემინარიელისა გამოდგა, რომელსაც მეტაფიზიკისთვის ეხლა უსუნებია და ტეზისები და ანტიტეზისები შეუტყვია.

Ია ჯერ, რამდენიც შეუძლიან, პოეტურად აგვიწერს გარეშემო ბუნების სიმდიდრეს და სიმშვენიერეს პირველს ნაწილში; მეორე ნაწილში გადიცვამს ძაძას, წაიყრის თავზედ ნაცარს და მოჰყვება გოდებას ჩვენს უბედურებაზედ და სხვანი. მგონია, კორესპონდენციების ნიმუშებით, თავი შეგაწყინეთ, თორემ კიდევ შემეძლო ამდენიმე ჰაშნიკისთვის კიდევ მომეხსნა პირი. აქედამ დაინახავთ, რა შემწეობასაც მისცემდენ განსვენებულს სერგეი მესხს ამისთანა მუქთი კორესპონდენტები.

***

მართალია, თითქმის ყოველს ჩვენს პროვინციაში მოიპოვება თითო მაინც იმისთანა განათლებული და ნიჭიერი პირი, რომ შეუძლიან გაზეთს კარგი დახმარება გაუწიოს, მაგრამ დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, ვერ აუსრულებიათ, რადგანაც პროვინციის კეთილ-სინიდისიერმა მემატიანემ თავზედ ხელი უნდა აიღოს. მაზრის სოლომონ ბრძენზედ რამდენიც გინდა სწერე, ფიქრი ნუ გაქვს. პროვინციის კერატი სკვოზნიკ-დმუხანოვსკი თავის ამალით: ბობჩინსკით, დობჩინსკით, და რომელიმე სუტ-ჩინოვნიკ კუდალიჩით სულ შენსკენ არიან და ტაშს გიკრავენ. თან-და-თან აკვირდები პროვინციალურ ცხოვრებას და ჰხედავ, რომ წინად განკიცხული მსაჯული უმანკო კრავი ყოფილა გოროდნიჩთან და მის ამალასთან შედარებით. იმისი დანაშაული მხოლოდ ისა ყოფილა, რომ სიზარმაცის გამო სასამართლოში გვიან მიდის და დილით დაბარებულს მუშა ხალხს ალოდინებს, მაგრამ დანარჩენნი ხშირად მოქრთამეების შაიკას შეადგენენ, რომლის ჩუმი მოთავე და მფარველი სკვოზნიკ-დმუხანოვსკი არის. თუ სინიდისი გაწუხებს და შენი მოვალეობა გესმის, რასაკვირველია, მათ ოინებს არ დამალავ, გამოაშკარავებ და კიდეც მოგვესევა მაზრაში ყოვლადძლიერი სკვოზნიკ-დმუხანოვსკი თავის ერთგული ქორ-მეძებრებით. მაგრამ ამ ჟამად ეს ვიკმაროთ და შემდეგ ცალკე მოგახსენებთ როდისმე მაზრის ოინბაზებზედ...

დავით სოსლანი.

ლას, ამ საქმის შესასწავლად შემოიარა სახალინის კუნძული, დასავლეთი მხარე და შუა რუსეთი. ეხლა იწერებიან, რომ ამ პირს პროექტიც შეუდგენია, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საჭიროა საპყრობილოების ადმინისტრატიული და სხვა ყველა წესები ძირიანად შეიცვალოს, ამ პროექტში სხვათა შორის ნაჩვენებია ის საშუალება და ის გზა რომლითაც სახელმწიფოს შეუძლიან თავიდამ აიცილოს საპყრობილოების და ტუსაღების შესანახავი ხარჯი. პროექტის აზრით, ტუსაღები ცუდად არ უნდა ჰყავდეთ საპყრობილოებში, უნდა ამუშაონ და იმათის ხელფასით ისინიც შეინახონ და საზოგადოდ რაც საპყრობილოებზედ ხარჯი მოსდის სახელმწიფოს, იმითი დაჰფარონ. ამისათვის საჭირო არისო, რომ რომელმა ტუსაღმაც ხელობა რამ იცის, იხელოსნოს და ვინც ხელობა არა იცის რა, ის უბრალოდ ამუშავონ. კერძო პირებს გარდა ტუსაღებს სამუშაო უნდა შეუკვეთონ ქალაქის საზოგადოებათა და ყველა სახელმწიფო უწყებებმა.

## უცხოეთი

— ბადახოზ'ში მომხდარ აჯანყების თაობაზედ ისპანიიდგან იწერებიან შემდეგს: «ბადახოზში აჯანყება მოხდა. 1,200 სალდათმა და მოქ ლაქემ დაიჭირეს ლამე ეს ქალაქი. ჩვენმა ტელეგრამებმა გვაცნობეს, რომ აჯანყება მოისპო და აჯანყებულები ზოგი დაატუსაღეს და ზოგიც პორტუგალიაში გაიქცა.

უმნიშვნელო არ არის ის გარემოება, რომ აჯანყებულები იძახდნენ: «გაუმარჯოს ზორილას»! ზორილა და სალმერონი ისპანიის რესპუბლიკელების მოთავეები არიან. ისინი სამზღვარ გარეთ სცხოვრობენ და იქიდამ ახდენენ მოძრაობას. ისპანიაში რესპუბლიკურმა აზრებმა ძალიან ფესვი გაიდგეს. კასტელიარის სიტყვებს აღტაცებით მიიღებენ ხოლმე. ისპანიის ბურბონებმა ჩაიდინეს ყველაფერი, რითაც შეეძლოთ—შეეძულებინათ თვისი უფლება და ალფონს XII-ს აღარ შეუძლიან დაუბრუნოს მეფობას ნდობა და ერთგულობა ხალხისა. თუმცა ათი წელიწადია, სწორედ, რაც ის ისე განაგებს ხალხს, როგორც კონსტიტუციის რიგია, მაგრამ თუ აქამდინ ის კიდევ მეფედ ზის, ეს იმიტომა, რომ ეშინიანთ არეულობისა, რომლის წვენიც ისპანიამ უკვე სწვნია.

— იტალიელს სალდათს და საზოგადოდ იტალიის ჯარს ერთი ფრიად კარგი და კეთილ-შობილური თვისება აქვს: საზოგადო უბედურების დროს ის ყოველთვის მზად არის შესწიროს თავის სიცოცხლე თვის თანამემამულეს. რომიდამ იწერებიან, რომ იმ საშინელი უბედურების დროს, რომელიც ისკიის კუნძულზე მოხდა, იტალიის ჯარმა კიდევ დაამტკიცა თვისი ვაჟ-კაცობა და თავ-განწირულებაო. 17 ივლისს იმ პოლკმა, რომელიც ნეაპოლში დაბანაკებულია, ბრძანება მიიღო—წასულიყო ისკიაში მიწის-ძვრისაგან დალუპულთა დასახმარებლადო. წინა დღით რამდენიმე ასს სალდათს სამსახურის ვადა გაუთავდათ და ნება-რთვა მოუვიდათ—სამშობლოში წასულიყვნენ. პოლკის კომანდირმა უბრძანა პოლკს ისკიაში წასვლა და ამასთანავე გამოუცხადა, რომ ჭეშმარიტი სალდათი ის არის ვინც არამც თუ შესწირავს სამშობლოს თავის სიცოცხლესა, არამედ ისაც, ვინც ეხმარება თავის თანამოძმეებს უბედურებაშიო. ვისაც სამსახურის ვადა გათავებული ჰქონდა, ნება მისცეს, თუნდა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, თუნდა კაზამიჩიოლაში წასულიყვნენ. იქ იმათ მოელოდათ დიდი გაჭირვება და თითქმის სიკვდილიც.—«ვისაც სამშობლოში წასვლა უნდა—უთხრა იმათ კომანდირმა—ხელი მაღლა აიშვიროს». ერთს სალდათსაც არ აუშვერია ხელი და რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი პოლკი წავიდა ისკიაში. ეს პოლკი ეხლაც იქ არის და გასაკვირველის თავ-განწირულებით შრომობს ბევრი, კაცი ამოაძრეს მიწიდამ და ბევრი გადაარჩინეს სიკვდილს ამ პოლკის სალდათებმა.

— ინგლისში წესია, რომ საზოგადოებათა პალატაში დეპუტატათ ამორჩეულმა პირმა უნდა დაიფიცოს, რომ ის ერთგულად და სინიდისიანად ემსახურება კანონებს. შარშანწინ ერთმა ამ დეპუტატთაგანმა ბრედლომ უარ-ჰყო ამ გვარი ფიცი, ბევრი ურჩიეს წესი არ დაერღვია და მიელო ფიცი; მაგრამ ის თავისაზე იდგა. შემდეგ, რომ ველარას გახდენ, ეს დეპუტატი ბოქაულებით გამოიყვანეს კრებიდამ. ეხლა გაზეთებში იწერებიან, რომ ბრედლოს სასარგებლოდ ტროფალგარსკვერში მიტინგი მომხდარა, რომელზედაც შემდეგი დაუდგენიათ: «მიტინგი იმ აზრისაა, რომ საზოგადოებათა პალატა, რომელმაც იხმარა ძალა და ერთი კანონიერად ამორჩეული დეპუტატთაგანი კრებაში არ შეუშვა, დამნაშავეა თავის უფლების ბოროტად მოხმარებაში და უთუოდ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მას კაცმა..—ამისათვის მიტინგი მიმართავს მთელს მხარეს და სთხოვს—განაცხადოს მან, რომ პალატა, რომელიც კანონებს პატივს არა სცემს და ამომრჩევლების თავისუფალს ხმებს ფეხითა ჰქელავს, დათხოვნილ უნდა იქმნას».

ეს განჩინება დედოფალს და გლადსტონს უნდა აცნობონ.

***

— მეციდამ იწერებიან, რომ ელზას-ლოტრენის მმართებლობამ ნება არ მისცა ფრანცუზულს ენაზე ახალის გაზეთის გამოცემისაო. მეცში თუმცა გამოდის გაზეთი ფრანცუზულ ენაზედ, მაგრამ ეხლა ლოტრენში და ელზასში ისეთი მოძრაობაა, რომ მმართებლობას საჭიროდ დაუნახავს ამ ზომის მიღება.


# სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართონ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი**  **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—21)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საკლობუსტო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უფრო იაფად, ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქვეპო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარუკი—20 კ. (100—62)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
1 საათზედ და 37 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.


Дозв. цензурою Тифлисъ, 8 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.